

პასუხი მტერ-მოყვრებს (1912 წლის შემოდგომა)

ადამიანს რომ შუბლის კანი გაუმაგრდება და სირცხვილ- ნამუსს დაჰკარგავს, მაშინ ენასაც იგრძელებს, რომ თავისი ჩირქი სხვას გადასცხოს როგორმე. მინახავს კაცისმკვლელები, თავისგამართლებას რომ ვეღარ ახერხებდენ, ბრალს მოკლულს ადებდენ: „თვითონ შემომაკვდაო!..“ აგრეთვე შევხვედრივარ ქურდს, რომ ამტკიცებდა: მე კი არ მოვიპარე ფული, მე კი არ დავხარჯე, თვითონ შემომეჭამა _ შემომეხრჯაო. თითქმის მართლა ფულს დაეტანებოდა ძალა ადამიანისათვის, რომ მას ქურდობა ჩაედინა. სწორედ ამნაირად მექცევია მე ის ვაჟბატონები, ფედერალისტების ქურქში გამოხვეულები, ვითომ სა- ზოგადო საქმისათვის თავდადებულები, საქვეყნო საქმეს აკეთებენ. ხმას ავრცელებენ გაზეთების საშუალობით, ვითომც მე ფედერალისტების წინააღმდეგად გამოვსულიყავი და კიტა აბაშიძისთვის შავის მიცემა მსურვებოდა. ღმერთი, რჯული, რომ ეს ტყუილია. მე სრულიად არ მდომებია არჩევანში ჩარევა. თვითონ გამომიწვიეს და როცა გამაშავეს, მერე მომაწერეს ის, რაც მე არ ჩამიდენია. _ ჩემ ამრჩევლებს არაფერი ფედერა- ლისტების შესახებ არ ჰქონიათ მხედველობაში. აქ იყო მხოლოდ საპირადო მოსაზრება, უსამართლო და შავი. და თუ მე ხმას არ ვიღებ და ფარდას არ ვხდი სიმართლეს, მაქვს ამისი მიზეზი: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დამავდებისო“, ამბობს რუსთველი და ამას ხალხი ამატებს: „მოქნეული და მოზომილი არ ხაზულაო“. ამისი არ იყოს, არც მე მინდა საქვეყნოდ გამომქდავება წერილობით და მიტომაც ვსთხოვ იმ ჩემ მოწინააღმდეგე კიტაელებს, რომ სამედიატორო სამარ- თალში გამომყვენ. დეე, იმ მედიატორებმა განიხილონ საქმე და რასაც ისინი გადასწყვეტენ, ვეთანხმები. მე ჩემის მხრით მედი- ატორებად ვნიშნავ: ვანო ელიაშვილს და იაკობ ფანცხავას, ორივეს ფედერალისტს.

წყარო: <https://bit.ly/2QpatG2>